ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2209889

ნომერი: AR1343713

თარიღი : 22.09.2015

გაცემის თარიღი : 25.09.2015

გაცნობის თარიღი : 20.09.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , შესახვევი აბანოს , N 7 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- დან ნახუმ პ/ნ 01017036708
- თბილისი მისამართის გარეშე

ნომენკლატურა :

- მრავალფუნქციური კომპლექსი/შენობა
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალფუნქციური
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკოლოზ ჩხაიძე

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შ.პ.ს"დან დიურ ჰოლდინგი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 2038855104
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: დან ნახუმ
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01017036708

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 454472
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 5.12.2012

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ.
ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი N 7–ში, შ.პ.ს. "დან დიურ ჰოლდინგი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა; მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2012 წლის 06 დეკემბრიდან – 2013 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით.
2013 წლის 14 ნოემბერს N AR1176511 განცხადებით მოგვმართა მოქ. დან ნახუმმა, რომელიც ითხოვდა მშენებლობის ნებართვის ვადის, დამატებით 8 თვით, გაგრძელების მიზნით 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2013 წლის 25 ნოემბრის №1008243 ბრძანებით შევიდა ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით" , შეიცვალა – "ნებართვა ძალაშია 2014 წლის 06 აგვისტოს ჩათვლით".
2015 წლის 23 ივნისს AR1319316 განცხადებით კვლავ მოგვმართა მოქ. დან ნახუმმა, რომელიც ითხოვდა მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვის და სანებართვო მოწომობის გაცემას.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ № 1983892, 30/06/2015 ბრძანებით გაიცა ქ. თბილისში, (სექტორი–კრწანისი), აბანოს შესახვევი N 7–ში, შ.პ.ს. "დან დიურ ჰოლდინგი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლასთან დაკავშირებით ახალი მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2015 წლის 1 ივლისიდან 2015 წლის 10 ოქტომბრის ჩათვლით.
2015 წლის 22 სექტემბრის N AR1343713 განცხადებით კვლავ მოგვმართა მოქ. დან ნახუმმა, რომელიც ითხოვს მშენებლობის ნებართვის ვადის, დამატებით 4 თვით, გაგრძელების მიზნით 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში მშენებლობის დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.
სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2013 წლის 06 დეკემბრის ჩათვლით" , შეიცვალოს – "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 20 იანვრის ჩათვლით" .
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მერიის სსიპ ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2012 წლის 05 დეკემბრის №454472 ბრძანებასა და მშენებლობის სანებართვო მოწმობასთან ერთად.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.